



# BioTopic

## ბიომრავალფეროვნება – საფრთხის ქვეშ მყოფი სიმდიდრე და მომავლის მემკვიდრეობა

სახეობების გადაშენება საგანგაშო სისწრაფით ხდება. დადგენილია, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად 50-150 სახეობა ისპობა. ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) შეფასებით დაახლოებით 5,500 ცხოველისა და 6,700 მცენარის სახეობას ემუქრება გადაშენების საფრთხე. კავკასია მსოფლიო ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი ცხელი წერტილია, სადაც 6400 სახეობის მცენარეა, რომელთა 25% მხოლოდ ამ რეგიონში ხარობს. კავკასიაში ბინადრობს აგრეთვე ცხოველთა ასობით სახეობა, რომელთაგან დაახლოებით 13% ენდემურია. სამწუხაროდ, ამ სიმდიდრეს საფრთხე ემუქრება. დღეისათვის საქართველოს წითელ ნუსხაში ცხოველთა 136 და მცენარეთა 56 საფრთხის ქვეშ მყოფი ან უკვე გადაშენებული სახეობაა შეტანილი.

### ძირითადი საფრთხეები საქართველოს ბიომრავალფეროვნებისათვის

**საცხოვრებელი გარემოს განადგურება:** ბიომრავალფეროვნებაზე დიდ გავლენას ახდენს სახეობის საცხოვრებელი გარემოს - ჰაბიტატის მოშლა. მაგალითად, ტყეების მასშტაბური ჭრა, ან მათი გეგმიური გარდაქმნა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებად და საძოვრებად. საქართველოში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში, მთის ტყეების ეკოსისტემები დევრადირებულია და საძოვრებად არის გადაქცეული. უკანასკნელი ასწლეულების მანძილზე კი აღმოსავლეთ საქართველოს არიდული და აგრეთვე ჭალის ტყეები ნაწილობრივ განადგურდა.

**ბიომრავალფეროვნების არამდგრადი გამოყენება:** გარდა იმისა, რომ ხდება სახეობათა საცხოვრებელი გარემოს მოშლა, ექსპლუატაციური გამოყენების გამო (გადაჭარბებული თევზჭერა, ნადირობა ნორმების დაცვის გარეშე, ბრაკონიერობა) განადგურების საფრთხე ემუქრება მრავალ სახეობას, ხოლო ზოგი მათგანი უკვე გადაშენდა. საქართველოში მკვეთრად შემცირდა ისეთი სახეობების პოპულაციები როგორცაა: ირემი, ნიამორი, მურა დათვი, ხოლო ჯეირანი სრულიად გაქრა.

**ლანდშაფტების ფრაგმენტაცია:** ტექნიკური ინფრასტრუქტურის (გზები, რკინიგზები, არხები და სხვ.) ინდუსტრიული ზონებისა და ურბანული განვითარებით გამოწვეული ლანდშაფტების ფრაგმენტაციის შედეგად ეკოსისტემები მცირე ზონებად არის დანაწევრებული, რასაც მიყვავართ ჰაბიტატების ხარისხის გაუარესებისა და მათი ფართობის შემცირებისაკენ. ამით განსაკუთრებით ზარალდება მიგრირებადი სახეობები, რომლებსაც ვრცელი და დაუნაწევრებელი ბუნებრივი ლანდშაფტები ესაჭიროება. მომავალი ეკონომიკური განვითარებისათვის საქართველოს სჭირდება რეგიონული მონაცემებისა და მინათსარგებლობის სწორი დაგეგმვა, რათა მაქსიმალურად იქნეს აცილებული ჰაბიტატებისა და ბიომრავალფეროვნების კარგვა.





**ინტენსიური სოფლის მეურნეობა:** სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას თან სდევს ფერმების გაერთიანება, ბუჩქებისა და ხეების გაჩეხვა, ასევე სინთეზური სასუქების, შერბიციდებისა და პესტიციდების ინტენსიური გამოყენება. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია იწვევს ეკოსისტემებისა და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების რღვევას, ვინაიდან ხდება მცენარეთა და ცხოველთა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო ჯიშების ჩანაცვლება უფრო ნაყოფიერი ცხოველებისა და სწრაფად მზარდი მცენარეების ჯიშებით. საქართველოში მრავალი ადგილობრივი ჯიშის (ხევსურული მსხვილფეხა საქონელი, კავკასიური კამეჩი, იმერული ცხვარი და სხვ.) საგანგაშოდ შემცირდა და გადაშენდა. აგრობიომრავალფეროვნების შემცირება გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს გენეტიკური მრავალფეროვნების შეუქცევად კარგვას და ამგვარად ზღუდავს მომავალში ადგილობრივი ადაპტირებული ჯიშების გამოყვანის შესაძლებლობას.

## ბიომრავალფეროვნება ჩვენი მომავლისათვის

**საკვების უსაფრთხოება:** დღეისათვის მსოფლიო კვების პროდუქტების მარაგის 80% იქმნება სულ რაღაც 20 სახეობის მცენარისაგან. მიუხედავად იმისა, რომ საკვებად ცხოველთა ბევრი სახეობა გამოიყენება, ძირითადად, მაინც რამდენიმე სახეობა მოიხმარება. ეს გარკვეულწილად წარმოადგენს დიდ რისკს, რადგან ამ რამდენიმე სახეობის გენეტიკური მრავალფეროვნება მცირდება და მომავალში ცვალებად გარემოსთან (ახალი პარაზიტები, კლიმატის ცვლილება) ადაპტაციის შესაძლებლობა იზღუდება. მრავალი

ყვავილოვანი მცენარის არსებობა დამოკიდებულია სხვადასხვა ცხოველზე (ფუტკარი, პეპელა, ფრინველები და სხვ.), რომლებიც ხელს უწყობენ მათ დამტვერვასა და თესლის გავრცელებას. საკვები მარცვლეულის ერთ მესამედზე მეტი დამოკიდებულია სწორედ ბუნებრივი დამტვერვის პროცესზე.

**ნედლეული:** სამრეწველო მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ ბიოლოგიური რესურსებიდან მიიღება. ესენია: საშენი მასალა, ბოჭკო, მერქანი, საღებავები და ა.შ. ბიოლოგიური რესურსებიდან მიღებული ნედლეულის მდგრადი გამოყენების უდიდესი პოტენციალი არსებობს. ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ტრადიციულ მედიცინაში. საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა დაახლოებით 250 სახეობის მცენარეს იყენებს სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. მდიდარი ბუნება საქართველოს საშუალებას აძლევს მცენარეთა ადგილობრივი სახეობებისაგან შექმნას მედიცინის თანამედროვე პროდუქცია.

**კლიმატი და ბუნებრივი კატასტროფები:** მცენარეული ქსოვილები და ორგანული მასალები ხმელეთისა

თუ წყლის ეკოსისტემებში წარმოადგენს ნახშირბადის ერთგვარ საწყობს, რაც ხელს უწყობს ატმოსფერული ნახშირორჟანგის დაგროვების შენელებას და კლიმატის სტაბილიზაციას. ეკოსისტემები, პირველ რიგში კი ტყის ეკოსისტემები, დიდ გავლენას ახდენს რეგიონულ და ადგილობრივ კლიმატზე და ხელს უშლის ტემპერატურის აწევას, ქარიშხლებს, წყალდიდობასა და მათთან დაკავშირებულ ბუნებრივ კატასტროფებს. გარდა ამისა, ტყეები ხელს უწყობს გრუნტის წყლების რეჟიმის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის სტაბილიზაციას. ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ გაეროს კონვენციაზე ხელმოწერით (1994) საქართველომ, ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ, აიღო ვალდებულება ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვასა და მის მდგრად გამოყენებაზე. ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვით საქართველო შესაძლებლობას აძლევს მომავალ თაობებს დააფასონ ბიოლოგიური მრავალფეროვნება და ასევე მიიღონ სარგებელი მისგან. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გეგმავს ბიომრავალფეროვნების დაცვის არსებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლებას 2010 წლისათვის.



Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

შ.პ.ს. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა, სამხრეთ კავკასია

გულუას ქ.6, მე-6 სართული  
0114 თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 - 201828

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური

გულუას ქ.6  
0114 თბილისი, საქართველო  
ტელ: +995-32-727231

ტესტი: ქრისტინა შტრაუბი  
ფოტოები: © გიორგი მამადაშვილი

© როლფ შულცკე  
© GTZ  
დიზაინი: © GTZ  
ბეჭდვა: პოლარის პრინტი, თბილისი